პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 12 დეკემბერი, 1943 წ. № 256 (6881). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

— საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან, 11 დეკემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვ.).
— დიდი ბელადის მოწოდების პასუხად (მე-2 გვ.).
— მასების შემოქმედებითი მუშაობის სათავეში (მოწვინავე).
— ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კოლუმბიის დესპანი ბ-ნი ა. მიჩელსენი.
— მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ედ. ბენეში (1-ლი გვ.).
— მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების ორი წლისთავი: კ. სიმონოვი—მოსკოვი; პ. პავლენკო—დიადი ბრძოლა; გ. ტაბიძე—მოსკოვი (მე-3 გვ.).
— აკად. ალ. ჯანელიძე—ისტორიული გადაწყვეტილება (1-ლი გვ.).
— პ. ნანიტაშვილი—მაიაკოვსკის „ალეკოს“ მუშაობლები აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას (მე-2 გვ.).
— ოთარ ეგაძე—ქართველის ბუჩა (მე-4 გვ.).
— უცხოეთის დეპეშები: „ტაიმსი“ - იტალიელების - ბესარაბ, საომარი მოქმედება იტალიაში; მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება.

მასების შემოქმედებითი მუშაობის სათავეში

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებას საბჭოთა ხალხი უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით შეხვდა. ბელადის მოხსენება წარმოადგენს ჩვენი ეპოქის უდიდეს, შესანიშნავ პოლიტიკურ დოკუმენტს, საყოველთაო-სახალხო ბრძოლისა და ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების დიად პროგრამას. დიდი სტალინის ბრძნული სიტყვები გულის სიღრმეში სწვდება და ახალი საგმირო საქმეებისათვის მოუწოდებს **საბჭოთა** ადამიანებს.

მტერზე ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია. ამას მთელი ძალით მოწმობს სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილება, რომელსაც **საბჭოთა** ხალხი უდიდესი კმაყოფილებით და აღფრთოვანებით შეხვდა.

ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, რკინიგზებზე და საკოლმეურნეო სოფელში ახალი ძალით სჩქეფს საბჭოთა პატრიოტების დაუცხრომელი ენერგია და ინიციატივა. ბელადის საოქტომბრო მოხსენებასთან დაკავშირებით ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ქალაქად და სოფლად.

მასების ამ დიდ შემოქმედებითს მუშაობას ფრონტის დასახმარებლად, როგორც ყოველთვის, ხელმძღვანელობს გმირულ ბრძოლებში გამოწრთობილი **ლენინ-სტალინის** ძლევამოსილი პარტია.

„ბოლშევიკების“ პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მოიპოვეს თავისუფლება და ააშენეს სოციალისტური საზოგადოება. სამამულო ომის დღეებში პარტია ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი“ (სტალინი).

ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად საბჭოთა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში და რკინიგზაზე, მაღაროებში და შახტებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები. მათი ხელმძღვანელობით, სამამულო ომის ძნელ პირობებში, მასები სძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას გამარჯვების დიად გზაზე.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რაიონული და საქალაქო აქტივი თავიანთ კრებებზე იხილავენ ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას და იმუშავებენ ღონისძიებებს ბელადის მოხსენებაში დასახული დიადი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

10 დეკემბერს დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონული პარტაქტივების კრებები, რომლებზედაც მიღებულ იქნა ღონისძიებანი ბელადის მიერ დასახულ დიად ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის. საჭიროა აქედანვე გაიშალოს ბოლშევიკური ბრძოლა ამ ღონისძიებათა გასატარებლად.

როგორ იბრძვიან ფაბრიკა-ქარხნები ბელადის მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად?

თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა ახალი ძალით გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიაც ქარხნის ყველა საამქრო ჩაებმა. მუშები დადგნენ სტახანოვურ ვახტზე და დავალებებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ. ქარხნის კოლექტივს წარმატებების მოპოვებაში მუდმივ დახმარებას უწევს პარტიული ორგანიზაცია. ქარხანაში ყოველდღიურად მიმდინარეობს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები გულდასმით აცნობენ მუშებს დიდი სტალინის მოხსენების შინაარსს, ფრონტის ამბებს და შრომითი მამაცობისათვის რაზმავენ მათ. ამ დღეებში ჩატარდა ქარხნის პარტორგანიზაციის კრება, რომელიც მიეძღვნა საკითხს: ამხანაგ სტალინის მოხსენება და ქარხნის პარტორგანიზაციის ამოცანები. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო გააძლიერებს გმირი წითელი არმიისადმი დახმარებას.

თბილისის **სპილენძსტანციის** ქარხნის კომუნისტები ავანგარდში არიან და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, ამხანაგები მ. დავითაშვილი, ნ. შომახია, ნ. ბერიაშვილი და სხვ. დავალებებს 200 და მეტი პროცენტით ანაღდებენ. პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაშლით და ყოველდღიური ხელმძღვანელობით ეხმარება ქარხნის კოლექტივს წარმატების მოპოვებაში.

პარტორგანიზაციები ყოველმხრივ ეხმარებიან და ხელს უწყობენ მასების შრომითი ინიციატივის გამოვლენას და გავრცელებას, სტახანოველთა და დამკვრელთა რიგების ზრდას, ორასოვანთა და ხუთასოვანთა მოძრაობას, საფრონტო ბრიგადების წარმატებას. ყველაფერი ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის შრომის ნაყოფიერებას სამამულო ომის ძნელ პირობებში — ვამუშაოთ ორისა და სამის ნაცვლად, ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქცია მივცეთ სამშობლოს! — ასეთია ამჟამად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ლოზუნგი.

უდიდესია კოლმეურნე გლეხობის შრომითი თავდადება. სამამულო ომის პირობებში კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმმა უძლიერესი გაჭანება ჰპოვა. ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად საკოლმეურნეო სოფელში მძლავრად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ფრონტის დასახმარებლად. საქართველოს რაიონებში ამასწინათ ჩატარებული პარტიული აქტივის კრებები ერთხელ კიდევ მოწმობენ კოლმეურნეთა საერთო-სახალხო მისწრაფებას კიდევ უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება. მაგალითად, მახარაძის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნე გლეხობა პატრიოტული შრომით მზარდ დახმარებას უწევს გმირ წითელ არმიას. აქ წარმატებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა. შემჭიდროებულ ვადებში აიღეს ერთწლიანი კულტურების მოსავალი, ვადაზე ადრე შეასრულეს მთელი რიგი სახელმწიფო ვალდებულებანი. ამჟამად გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ციტრუსების ნაყოფის დროულად აღებისა და ნარგავების გამოზამთრებისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებასთან დაკავშირებით ფართოდ ჩაღდება, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მასების საერთო-სახალხო მისწრაფებას ყოველმხრივ დაეხმარონ იმ ქალაქებისა და რაიონების აღდგენას, რომლებმაც ჰიტლერელი მტაცებლების მხრივ დროებითი ბატონობა განიცადეს.

პარტიული ორგანიზაციების დახმარებით გმირი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია გულმოდგინედ სწავლობენ გენიალური ბელადის და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მოხსენებას. დიდი ბელადი გვასწავლის, რომ „ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე“.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა, როგორც ყოველთვის, სათავეში ჩაუდგნენ მასების დიდ პატრიოტულ შემოქმედებითს მუშაობას და წარმართონ იგი ჩვენი გამარჯვების დაჩქარებით მოპოვებისათვის.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილნი და გამოწრთობილნი ამხანაგ ლ. პ. **ბერიას** მიერ, ყველაფერს გააკეთებენ ვერაგი მტრის — გერმანიის ფაშიზმის გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საბოლოო გამარჯვების დასაჩქარებლად.

ნითელი არმიის ნითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის გენერლების, მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის XXV წლისთავის ოფიცრების, სერჟანტთა და ნებაყოფლობით დაქირავებულთა შემადგენლობის დაჯილდოება

ნითელი არმიის ნითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის XXV წლისთავის აღსანიშნავად და ოფიცერთა კადრების მოამზადების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ნითელი დროშის ორდენით — 25 კაცი;

სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით — 20 კაცი;

სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით — 21 კაცი;

შრომის წითელი დროშის ორდენით—ერთი კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით — 60 კაცი;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — 22 კაცი;

მედლით „სახრძოლო დამსახურებისათვის“ — 12 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 10 კაცი;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 43 კაცი. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ი. ა. ბენედიქტოვი გაათავისუფლა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოვალეობისაგან და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დანიშნა ამხ. ანდრია ანდრიას-ძე **ანდრეევი.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ი. ა. **ბენედიქტოვი** დანიშნა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა საყურადღებოდ.

1943 წლის 13 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, გრიბოედოვის სახ. თეატრის შენობაში მოწვეულია

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მე-10 სესია

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს გრიბოედოვის სახ. თეატრის შენობაში საღამოს 6 საათიდან.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

11 დეკემბრის განმავლობაში კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი ნოვგოროდკა, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები ცვეტნა, სოსნოვკა, სმელგოროდი, იასინოვი, ფედვარი, სპას-მაშარკა, გლუბოკაია ბალკა, ნოვო-ფიხაილოვკა, სოტნინსკი, ვერგლეუშკა და რკინიგზის სადგური სახარნაია.

მალინის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები წარმატებით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ქვეითს ჯარსა და ტანკებთან.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლაა.

10 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა 136 ტანკი, მათ შორის 103 — მალინის სამხრეთით მდებარე რაიონში. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი.

* * *

კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 6 შენაერთის მებრძოლები, რომლებიც წინ მიიწევდნენ და მტერს საშუალებას არ აძლევდნენ გამაგრებულიყო შუალედს ზღუდეებზე, გავიდნენ კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრის ნოვგოროდკის მისადგომებზე. გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ შემტეები საბჭოთა ნაწილები და რამდენიმე გაფფრებული კონტრიერიში მოიტანეს. ჰიტლერელების ყველა კონტრიერიში მარცხით დამთავრდა. ჩვენმა ჯარებმა მტერს სწრაფად ფლანგებიდან და დღის ბოლოსათვის გერმანელები განდევნეს ნოვგოროდკიდან. დაბის ქუჩებში დათვლილია ჰიტლერელთა 600-ზე მეტი გვამი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელიგდეს დაევლა, მათ შორის 8 ვარგისი ქვეითი და 3 ბევრი საომარი მასალა. სხვა უბნებზე ჩვენი შენაერთები წინ მიიწევდნენ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, რომლებისთვისაც ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, 22 ტანკი, 12 საველე ქვემეხი და მოწინააღმდეგის რამდენიმე ათეული ავტომანქანა.

* * *

ქალაქ მალინის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ქვეითს ჯარსა და ტანკებთან.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლაა.

10 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა 136 ტანკი, მათ შორის 103 — მალინის სამხრეთით მდებარე რაიონში. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში ჰიტლერელმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 24 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ლიანდაგიდან ჩამოაგდო გერმანელთა 5 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 100-მდე ვაგონი და პლატფორმა, ვაგონთა ნამსხვრევებში დაიღუპა 200-ზე მეტი ჰიტლერელი. ამ სხვის განმავლობაში საბჭოთა პატრიოტებმა აფეთქეს 2 სარკინიგზო და 9 საგზატკეცილო ხიდი. მოსპეს 8 ავტომანქანა და გამოსტრეს კავშირგაბმულობის 5 კილომეტრი სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი.

* * *

ტუვე გერმანელმა ეფრეიტორმა კარლ შმიდტმა განაცხადა: „მე ემსახურობდი 709-ე ქვეითი დივიზიის 739-ე პოლკის 1-ლ ბატალიონში, რომელიც დანანაგებული იყო საფრანგეთში. დივიზიის ნაწილები დაცვას ეწეოდნენ სენტალოსა და სხვა სანაპირო დასახლებულ პუნქტებში. 1943 წლის 4 ნოემბერს ჩვენი ბატალიონი მთელი შემადგენლობით გამოგზავნილ იქნა აღმოსავლეთის ფრონტზე. წამოსვლის წინა დღეს დივიზიის მეთაურმა სიტყვით მოგვმართა. მან სთქვა: „გერმანიას არასოდეს არ ვაუცდია ისეთი კრიზისი, როგორსაც ახლა განიცდის. ჩვენი წინანდელი გეგმები და ვარაუდები არ გამართლდა. ყველა მოლოდინს წინააღმდეგ, საქმე აღმოსავლეთის ფრონტზე ვერმანიისათვის ძალიან არახელსაყრელად შეტრუნდა. რუსები გაცილებით იმაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ, ვიდრე ჩვენ გვეგონა“. დასასრულ გენერალი რისსვით დაესა თავს „მოწუწუნებასა და პანიკორებს“, გენერალს სიტყვამ ჯარისკაცებზე დამაწუხებელი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი სიტყვებიდან ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გავიგეთ: გერმანიის არმია რუსეთში დამარცხებაა განიცდის და კატასტროფის წინაშე დგას. აღმოსავლეთის ფრონტზე ყოფნის პირველი დღიდანვე ჩვენს ბატალიონს ბევი არ სწყალობდა. რუსთა არტალერიამ და ნაღმსატყორცნებმა საშინელი ზარალი მოგვაყენეს. ორი დღის ბრძოლების შემდეგ პირველ ასეულში 20 კაცი დარჩა, მეორეში — 12, მესამეში კი ამაზე ნაკლებიც“.

* * *

მიღებულია ცნობა ვერმანელ ფაშისტ არამზადათა მიერ ქალაქ პსკოვსა და მის მიდამოებში ჩადენილი სისასტიკეანი ბრალეობის შესახებ. ჰიტლერელებმა სოფელ მედვედოვოში მარტკეს მეზობლებთა დიდი ჯგუფი, რომლებიც გზებისა და სიმაგრეების მშენებლობაზე მუშაობდნენ. ფაშისტმა ჯალათებმა ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში უსმელ-უშმელი დასტოვეს და შემდეგ აფეთქეს ბარაკი შიგ მყოფ საბჭოთა მოქალაქეებიანად.

მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ედ. ბენეში

11 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ედუარდ ბენეში, რომელსაც თან ახლდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ზ. ფირლინგერი, პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ბ-ნი ი. სმუტნი, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ბ-ნი ი. კრაუსი, ჩეხოსლოვაკიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ა. ნიეჰორსკი, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წევრი ბ-ნი ბ. ვრბენსკი, ავრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. გ. ი. ფომინი.

ვაგზალზე ბ-ნ ედ. ბენეშს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ი. ნატალევიჩი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. ა. ლოზოვსკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობასთან აკრედიტებული სსრ კავშირის ელჩი ამხ. ვ. ზ. ლებედევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, მოსკოვის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ა. იასნოვი, ქ. მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ი. ნატალევიჩი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ზ. ფირლინგერი.

ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ედ. ბენეში

11 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ედუარდ ბენეში.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ი. ნატალევიჩი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ზ. ფირლინგერი.

საღილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინთან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ედ. ბენეშის პატივსაცემად

11 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა კრემლში სადილი გამართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ დოქტორ ედუარდ ბენეშის პატივსაცემად.

სადილს დაესწრნენ ბ-ნი ედ. ბენეში, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ზ. ფირლინგერი, პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ბ-ნი ი. სმუტნი, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ბ-ნი ი. კრაუსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ნიეჰორსკი, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წევრი ბ-ნი ბ. ვრბენსკი, სარდალი ჩეხოსლოვაკთა ნაწილებისა სსრ კავშირში გენერალი ი. კრატოხვილი, უფროსი ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისიისა სსრ კავშირში პოლკოვნიკი გ. პიკა და ბ-ნ ედ. ბენეშის ახლებული სხვა პირები, აგრეთვე წევრები ჩეხოსლოვაკიის საელჩოსი სსრ კავშირში.

საბჭოთა კავშირის მხრით დაესწრნენ ამხანაგები: მარშალი ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიკოიანი, გ. მ. მალენკოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ს. შჩერბაკოვი, მარშალი ა. მ. ვასილევსკი, ნ. ი. ნატალევიჩი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ა. ე. კორნეიჩუკი, ს. ა. ლოზოვსკი, ვ. მ. ლატვინოვი, ი. მ. მაისკი, ვ. ზ. ლებედევი, ა. ფ. გორკინი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ს. ა. ხუდიაკოვი და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ე. ბენეშის განცხადება

მოსკოვს ჩამოსვლის დღეს ვაგზალზე კინოქრონიკის მიკროფონთან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ე. ბენეშმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

„მსურს დაგარწმუნოთ, რომ ჩემმა მოგზაურობამ თქვენს გმირულ ქვეყანაში უდიდესი სიამოვნება მარგუნა.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ჩამოსვლა და ჩვენი მოლაპარაკება სარგებლობას მოუტანს ჩვენს საერთო საქმეს, ყველა ჩვენი მოკავშირის საქმეს. ჩვენი ხალხისათვის სამშობლოში ეს იქნება ახალი დიდი წყარო აღფრთოვანებისა ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში“. (საკდესი).

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კოლუმბიის დესპანი ბ-ნი ა. მიჩელსენი

11 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კოლუმბიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ა. მიჩელსენი მის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისადმი გადაცემასთან დაკავშირებით.

ისტორიული გადაწყვეტილება

ბრძნულმა სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ საბჭოთა კავშირს მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ხალხების ღრმა პატივისცემა მოუპოვა და თეირანის ისტორიული შეხვედრა ამ პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება არის. დღეს მთელი მსოფლიო ხედავს, რომ საბჭოთა კავშირმა, მის მოკავშირეებთან ერთად, ეზარუნველჰყო ჰიტლერიზმის საბოლოოდ მოსპობის შესაძლებლობა და უზრუნველჰყოს ომის შემდგომ ხანგრძლივ მშვიდობიანობას. ფაშისტების მიერ გაჩაღებული ომის საშინელებათა მიღმა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები უკვე შემოქმედებითი შრომის და პროგრესის ახალ ერას ხედავენ.

საბოლოო გამარჯვება ჯერ კიდევ მსხვერპლსა და მთელი ძალღონის დაძაბვას მოითხოვს, მაგრამ საბჭოთა ხალხები მტკიცედ შეასრულებენ თავის წმიდა მოვალეობას სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

გამარჯვების მტკიცე რწმენა ახალი ენერგიით აღაფრთოვანებს საქართველოს ყველა ერთგულ შვილს, როგორც მეომრებს, ისე მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას. ჩვენი ყოველდღიური მოვალეობის შესრულება, ამ დიდი რწმენით გაშუქებული, კიდევ უფრო ინტენსიური ხდება და ჩვენი ძალაც შეუჩერებლად იზრდება.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის სამი სახელმწიფოს კონფერენციის შესახებ გამოქვეყნებულმა ცნობამ და ისტორიულმა დეკლარაციამ უღრეესად ცხოველი გამოძახილი ჰპოვა. მან მიაპყრო ჩვენი ყურადღება იმ ახალ დიდ ამოცანებს, რომელთაც დღევანდელი პირობები ჩვენს წინაშე აყენებს, და მათი ღირსეულად შესრულება ჩვენ დიდ და საპატიო მოვალეობად დაგვისახა.

აკად. ა. ჯანელიძე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

მიზინგები ქუთაისში

ქუთაისი („**კომუნისტის**“ საკ. კორ.). საწარმო-დაწესებულებებში ჩატარდა მიტინგები, მიძღვნილი სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა—სტალინის, ჩერჩილის, რუზველტის ისტორიული შეხვედრისადმი თეირანში.

საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს ახალი საბრძოლო ვალდებულებანი ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებლად. ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება აიღო გეგმის ზეგით სამშობლოს მისცეს ასოცი ათასი მანეთის პროდუქცია. აბრეშუმკომბინატის სტახანოველებმა პასიკო ჩიხლაძემ, მარო დოლიძემ, ვერა თოდაძემ იკისრეს ორმაგად გაანაღდონ მიცემული დავალება.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებმა იკისრეს იმუშაონ გაორკეცებული ენერგიით, უწყნოდ და უავარიოდ. რკინიგზის ქუთაისის კვანძის მილიანდაგეთა კოლექტივმა იკისრა 190 პროცენტით შეასრულოს დეკემბერში ლიანდაგის მიმდინარე და საშუალო რემონტის გეგმა.

ნ. კოვზირიძე

ყვავარჩელის მეშახტეთა ახალი საწარმოო ვალდებულებები

ტყვარჩელი („**კომუნისტის**“ საკ. კორ.). სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის დეკლარაციამ შრომითი აღმავლობის ახალი აზვირთება გამოიწვია ტყვარჩელის მეშახტეებში. მეშახტეთა მიტინგზე, რომელიც დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა, სემიონოლოსელმა მეშახტეებმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. პირველ უბანზე ათასთავად მომუშავე სემიონოლოსელმა ამხ. ა. პოლიკარპოვმა იკისრა ქვანახშირის ამოღების დეკემბრის გეგმის ვადაზე ადრე შესრულება და შახტში სამუშაოდ ახალმოსულთაგან სამი კვალიფიციური მეშახტის მომზადება. მეშვიდე უბნის მბურღველთა ჯგუფის ბრიგადირმა მ. ერემეევკომ განაცხადა, რომ სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებები მოასწავებენ პირსასხლიანი ფაშიზმის გარდუვალ განადგურებას. ამხ. ერემეევკომ თავისი ბრიგადის სახელით იკისრა დეკემბრის საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულება და ყველა იმ ახალმოსულ მუშათა კვალიფიციურ მეშახტეებად მომზადება, რომლებიც მის ბრიგადაზე არიან მიმაგრებულნი.

ასეთივე საწარმოო ვალდებულებები იკისრეს სხვა უბნებზე მომუშავე მეშახტეებმა და სპეციალისტებმა.

ა. კალატოზაშვილი

ახლოვდება მფერზე ჩვენი გამარჯვების ჟამი

ფოთი („**კომუნისტის**“ საკ. კორ.). ფოთის მრრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სამი მოკავშირე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა ისტორიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში ნავსადგურსა და რკინიგზაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჟღიბინგები, რომლებიც მიეძღვნა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მიტინგზე ორასოვანმა ბერკალმა ე. ლისოვკიმ განაცხადა: **სამი მოკავშირე** სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენცია მოაახლოებს საერთო მტერზე ჩვენი გამარჯვების ჟამს. შორს არ არის ის დრო, როცა წითელი არმია მოკავშირეთა არმიებთან ერთად საბოლოოდ გაანადგურებს საზიზღარ მტერს. ისტორიულ გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ვალდებულებას ვიღებ 250 პროცენტით შეასრულო საწარმოო დავალება, ზეინკალმა გ. აბდეევმა ვალდებულება აიღო 12 დეკემბრისათვის შეასრულოს მიმდინარე თვის დავალება.

ნავსადგურ

დიდი ბელადის მოწოდების პასუხად

პური—სახელმწიფოს

სილნალი („კომუნისტის“ კორ.). დიდი სტალინის მოწოდებას რაიონის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები უპასუხებენ ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით. წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა. 10 დეკემბრისათვის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 245 ტონა მარცვლეული, რომელიც მთლიანად მიზიდულია ზაგოტზერნოს საწყობებში.

კოოპერაციამ კოლმეურნეებისათვის სოფლებში შეიტანა 100.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

ი. სიმონიშვილი

* * *

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 24.300 კილოგრამი მარცვლეული. წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის სოიას ჩაბარება. ჩაბარებულია 322.261 კილოგრამი სოია. ჩაბარება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ლ. ოთიკიშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბერაძე

* * *

ასპინძა („კომუნისტის“ კორ.). სამი დღის განმავლობაში კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 12.300 ფუთი ხორბალი. გარდა ამისა, ძმური დახმარების ფონდში შეტანილია 6.000 ფუთი ხორბალი. სოფ. ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ველიჯანაშვილი) ორი დღის განმავლობაში სახელმწიფოს მიჰყიდა 20 ტონა ხორბალი. სოფ. ზველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ზედგინიძე) და სოფ. ასპინძის კოლმეურნეობა „წითელმა მზვნელმა“ (თავმჯდომარე ა. ბადალოვი) აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის საქმეში.

ვ. თამაზაშვილი

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 30.000 კილოგრამზე მეტი მარცვლეული. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ახალი სოფლის სტალინის სახელობის, სოფ. თიკლათის ბერიას სახელობის, სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის, ნოქალაქევის მოლოტოვის სახელობის, ცხაკაიის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა. გარდა ამისა, წითელ არმიის პურის ფონდში შეტანილია 10.011 კილოგრამი მარცვლეული.

კოლმეურნეობებმა გაისტუმრეს ნატურასაზღაური მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის. მტს-ის ნატურანაზღაურების 1944 წლის ანგარიშში სახელმწიფოს ავანსად ჩაბარეს 6.445 კილოგრამი სიმინდი.

ხ. კუჭავა

* * *

ლანჩხუთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა. ქალაქის უბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. პატარაია) სახელმწიფოს მიჰყიდა 8.600 კილოგრამი სიმინდი. ამ კოლმეურნეობის წევრმა, ოთხი ფრონტელის მამამ კირილე პატარაიამ სახელმწიფოს მიჰყიდა 200 კილოგრამი სიმინდი, სამამულო ომის ინვალიდმა კოლმეურნე დავით კილაძემ — 300 კილოგრამი, მამანტი მენალარიშვილმა—300 კილოგრამი.

ლაშეს-ღელეს ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჭანია ორაგველაძემ 600 კილოგრამი სიმინდი მიჰყიდა სახელმწიფოს. სიმინდის სახელმწიფოსათვის მიყიდვა ასეთივე წარმატებით მიმდინარეობს სოფელ ქვიანის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, სოფელ ჭყონგორის რუსთაველის სახელობის და გვიმბალაურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

ლ. ლოლაძე

სახოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი ამხ. ლალიაშვილი ქარხნის მუშებს უკითხავს სამი სახელმწიფოს თეიერანის კონფერენციის დეკლარაციებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ზესტაფონელი მეზაღლურგები ვალდებულებებს ასრულებენ

ზესტაფონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ი. კეკელიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. მესხი) ამხანაგ სტალინის მოწოდების საპასუხოდ ახალი კონკრეტული ვალდებულებანი აიღო. ზესტაფონელმა მეტალურგებმა იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათას ტონობით მაღალხარისხოვანი ლითონი, დაზოგონ მილიონობით კილოვატსაათი ელექტროენერგია, დახმარება გაუწიონ ჩვენს ღვაძლ ძმებს — უკრაინელებს ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის აღდგენაში.

ზესტაფონელები კონკრეტული საქმეებით ასრულებენ ვალდებულებებს. ქარხანამ 9 ნოემბრისათვის ნატურალურ ტონებში შეასრულა წლიური გეგმა და ახლა თავდადებულად მუშაობს, რათა ვადაზე ადრე შეასრულოს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

სადნობი საამქროს მეორე, მეოთხე და მეექვსე ღუმელები, მათზე მომუშავე მდნობელები მუშაობის შესანიშნავ ნიმუშებს გვაძლევენ. თითოეული ღუმელი ლითონის გამოდნობის გეგმას 150 პროცენტით ასრულებს, და ეს მეტალურგიაში საუკეთესო მოლოდინია. მეტალურგები მ. ვაშაკიძე, გ. გრიგოლაშვილი, ლ. ბრეგვაძე, გ. დეკანოსიძე, კ. ქორიაშვილი, დ. ქარქაშაძე, ი. ჟორჟოლიანი, ა. შარიქაძე აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეოთხე საამქროს კოლექტივის წარმატება. აქ, როგორც ცნობილია, წლიური გეგმა ჯერ კიდევ ოქტომბერში შესრულეს. ახლა საამქროს კოლექტივი გეგმის გადამეტებით იძლევა უმაღლესი ხარისხის პროდუქციას.

ზაპოროჟიეს ქარხნის აღსადგენად გასაგზავნი სპეციალისტების შერჩევა უკვე დაწყო. მსურველი ბევრია. ისინი მოკლე ხანში გაემგზავრებიან ზაპოროჟიეში.

ჯ. ჟიოკაძე

შრომითი აღმავლობა გორის საწარმოებში

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). დიდი ბელადის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიულმა საოქტომბრო მოხსენებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია გორის საწარმოებში.

გორის საკონსერვო ქარხნის მუშათა კოლექტივმა (დირექტორი ამხ. პ. საყვარელიძე) წლიური საწარმოო გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე, 1 დეკემბრისათვის შეასრულა.

მუშაობაში საუკეთესო ნიმუშები მოგვცა ზთავარმა საამქრომ (უფროსი ამხ. დ. ჩერნიშევსკი), რომელმაც წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ქარხნის მუშები ვ. კიბარენკო, კარელიძე, ო. კირიჩენკო და სხვ. დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ საწარმოო დავალებებს.

ნაყოფიერად მუშაობს ავრეთვე გორის ხეტყის სახეხი ქარხანა (დირექტორი ამხ. შ. ლოთეიშვილი). ქარხნის კოლექტივმა წლიური გეგმა ვადაზე ადრე, 1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

შ. ჩუბინიძე

კასპელმა მეცემენტეებმა დაპირება გაანაღდეს

კასპი („კომუნისტის“ საკ. კორ.). დიდი სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენებითა და 7 ნოემბრის ბრძანებით აღფრთოვანებულმა კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა იკისრა ნოემბრის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულება. კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულება უკვე გაანაღდა და ნოემბრის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა.

ცემენტის ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ახალი ძალით შეუდგნენ დეკემბრის საწარმოო დავალების შესრულებას. მეცემენტეები დაუღალავად მუშაობენ იმისათვის, რათა ქვეყანას მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი ცემენტი.

ვ. ბუზალაძე

60 სახის ახალი პროდუქცია

სარეწაო კოოპერაციის კავშირის საბჭომ შეაჯამა საწარმოო არტელებში ახალი სახის პროდუქციის გამოშვებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები. გამოირკვა, რომ სამამულო ომის დაწყების შემდეგ სარეწაო კოოპერაციის არტელებს აუთვისებიათ 60 ახალი სახის პროდუქციის გამოშვება ადგილობრივი ნედლეულისაგან. არტელები უშვებენ მაღალხარისხოვან ქირურგიულ ძაფს, პატრუქებს ნაფთქურებისა და ლამპრებისათვის, ბენზინის ცეცხლსანთებს, ალუმინის ქვაბებს (ალუმინის ნარჩენებისაგან), ელექტროლუმელების სპირალებს, სამეურნეო თოკს (ჯუტისაგან), „მეკეის“ ძაფს (ფეხსაცმლის მრეწველობისათვის), სპორტს და ა. შ.

სარეწაო კოოპერაციის კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ყოველმხრივ წაახალისოს ადგილობრივი ნედლეულიდან ახალი სახის პროდუქციის გამოშვებაზე მომუშავე რაციონალიზატორები.

ზრესგ „საქთამბაქოდამზადების“ ვადაზე ადრე შეასრულა თამბაქოს პროდუქციის გამოშვების გეგმა

ტრესტ „საქთამბაქოდამზადებამ“ დაწესებულ ვადაზე ერთი თვით ადრე, გადაჭარბებით შეასრულა თამბაქოს ფერმენტაციისა და გამოშვების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა.

წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება მრავალი ათეული ათასი ფუთი თამბაქო.

ტრესტ „საქთამბაქოდამზადების“ მმართველი გრ. ვაშაკიძე

გეგმების შესრულება

ლანჩხუთის რაიონმა 8 დეკემბრისათვის 118,7 პროცენტით შეასრულა ციტრუსთა ნაყოფის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 4.238.900 ცალი ნაყოფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.570.000 ცალისა. დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი შავდია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მანწავა

* * *

თიანეთის რაიონმა საშემოდგომო თესვის გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულა. ამავე დროისათვის მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის 1943 წლის გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებისა—100,1 პროცენტით, ნატურასაზღაურისა—101.2 პროცენტით, წითელი არმიის პურის ფონდში ჩაბარებისა—100,5 პროცენტით, ხორცის ჩაბარებისა—102,3 პროცენტით, მატყლისა—100,6 პროცენტით, რძისა —101,6 პროცენტით, ყველისა—104,4 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი ღუდუშაური

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გედეშური

ჩიტგრუსოვანთა ბაღნარში

ბათუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ციტრუსოვანთა ქარგისფერი ნაყოფით დახუნძულა შავი ზღვის აჭარის სანაპიროები. ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში გაჩაღებულია მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის მასობრივი კრეფა. მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ კრეფის გეგმას.

ლიმონ-მანდარინის ტრესტის ლ. პ. ბერიას სახელობის გონიოს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებასთან დაკავშირებით ვალდებულება იკისრა ციტრუსოვანთა კრეფის წლიური გეგმა შეასრულოს ვადამდე. ამ ვალდებულებას გონიელები წარმატებით ანხორციელებენ. ციტრუსოვანთა კრეფის წლიური გეგმა მათ უკვე შეასრულეს 50-ზე მეტი პროცენტით. მკრეფავები ა. ლოტე

მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების 2 წელი

კონსტანტინე სიმონოვი

მოსკოვი

(ადგილები ნარკვევიდან)

1941 წლის ოქტომბერში გერმანელებმა მოიკრიფეს ძალები მძლავრი დარტყმისათვის და შემოუტიეს მოსკოვს. ბრძოლა უფრო და უფრო უახლოვდებოდა მოსკოვს,—იგი სწარმოებდა მისგან ორასი, ასორმოცდაათი, ასოცი, ოთხმოცდაათი კილომეტრის მანძილზე.

მთელ ოქტომბერს, ნოემბერსა და დეკემბრის დამდეგს გერმანელები უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ მოსკოვს. მათი განადგურება მოსკოვთან დაიწყო 5 დეკემბერს, როცა ჩვენი ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. მომავალი გამარჯვების საკითხი წყდებოდა მაშინ, როცა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი **სტალინის** მეთაურობით მოსკოვში რჩებოდა. მომავალი გამარჯვების საკითხი კიდევ უფრო მეტად წყდებოდა 6 და 7 ნოემბერს, როცა დიადი საბჭოთა ტრადიციების თანახმად, შესდგა მოსკოვის საბჭოს სხდომა და პარადი წითელ მოედანზე და როცა ერთნაც და მეორენაც გამოვიდა **სტალინი.**

6 ნოემბერს საღამოს მტერმა მოსკოვზე გაფურებული საჰაერო თავდასხმა მოახდინა. გერმანელთა ბომბმფრინავები ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ გამოჭრილიყვნენ ქალაქის ცენტრში. ქალაქში გამაყრუებელი, საშინელი ძალის საზენიტო ცეცხლი გრიალებდა. ქუჩები და მოედნები საზენიტო ყუმბარების ნამსხვრევებით აივსო. 6 საათზე კი თითქმის მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა ფრონტმა გაიგონეს სტალინის ხმა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე. და მათ კვლავ გაიგონეს მისი ხმა წითელი მოედნიდან 7 ნოემბერს დილით.

ამ დღეს მოსკოვის მთელი საზენიტო საშუალებანი, მთელი საჰაერო თავდაცვა, გამანადგურებელი ავიაცია მზად იყო, რომ გერმანელებისათვის საშუალება არ მიეცა ჩაეშალათ საოქტომბრო ზეიმი წითელ მოედანზე. და ათასობით, ათეულ ათასობით ადამიანები არა მარტო მოსკოვში, არამედ ფრონტზეც მოწოდებული იყვნენ იმისათვის, რომ ყველა სიძნელის, ყოველგვარი საშიშროების მიუხედავად შესაძლებელი გაეხადათ ტრადიციული ღღესასწაულის ჩატარება.

7 ნოემბერს, როგორც ყოველთვის, მავზოლეუმის ფრთებზე ოდგნენ **სტალინი** და მისი თანამებრძოლნი. როგორც ყოველთვის, წითელ მოედანზე მიმდინარეობდა პარადი. როგორც ყოველთვის, ტრიბუნები სავსე იყო ხალხით, და მხოლოდ ავიაცია, რომელიც ამ დღეს მოსკოვის მისადგომებს იცავდა თავზე არ დასტრიალებდა წითელ მოედანს.

გერმანელები ამ დღეებში მოსკოვის კარიბჭესთან იყვნენ, ზოგან ისინი მეტ 60-70 კილომეტრზე მიუახლოვდნენ. საშიშროება დიდი და მრისხანე იყო. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საშიშროება ესოდენ დიდი იყო,—ამ პარადში, **სტალინის** სიტყვებში იყო ისეთი დიდი ძალა, გამარჯვების რწმენა, ისეთი დიადი, მშვიდი ზამაცობა, რომ თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა ფრონტზე, ზურგში და სადაც უნდა ყოფილიყო იგი იმ დღეს, მთელი გულით იგრძნო, რომ მოსკოვს არ დავთმობთ, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

8, 9, 10 და 15 ნოემბერს გერმანელები გაგრძელდნენ შემოტევას და სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ მოსკოვს. ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ გააფთრებული ბრძოლებით. მაგრამ ამას უკვე უკანდახევა აღარ დაერქმეოდა. ისეთი გრძნობა იყო, რომ მოსკოვთან ნელა იკუმშებოდა ფოლადის უზარმაზარი ზამბარა და ამ შეკუმშვაში საშინელ ძალას იძენდა. იკუმშებოდა იმისათვის, რომ გაშლილიყო და დაეტყა.

და იმ დროს, როდესაც ზვენიგოროდის, დედოვსკის, ჩორნიე გრიაზის, სხოდნის მახლობლად კაშირის მახლობლად და ტულის გარეუბნებში მოსკოვის ცოცხლად გადარჩენილ დამცველთა იშვიათი საფარი რაზმები ჰანცავდნენ, სისხლისაგან სცლიდნენ ჰიტლერის დივიზიებს, რომლებიც ჰკარგავდნენ წარმატებას რწმენას და ცოფდებოდნენ განცდილ მარცხთა გამო, დედაქალაქისა და ზურგის დამაკავშირებელი მცირერიცხოვანი მაგისტრალებით რეგულარულად, ყოველი ათი თხუთმეტი წუთის შემდეგ მიდიოდნენ ეშელონები ტანკებით, სხვა და სხვა ყალიბის ზარბაზნებით, პოლკები და ბატალიონები კარგ თბილ საზამთრო ტანსაცმელში გამოწყობილი საუცხოო საბრძოლო ტექნიკით თავით ფეხამდე შეიარაღებული ახალგაზრდა წითელარმიელებისა, რომლებიც პოუთმენლად მიიწევდნენ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

სად ხდებოდა ამ ეშელონების გადმოტვირთვა, სად ჰქონდა ეს უდიდესი რაოდენობა ადამიანებისა, ტანკებისა, ზარბაზნებისა, არავინ არ იცოდა. ისინი მიდიოდნენ მთელი ნოემბრისა და დეკემბრის დამდეგის განმავლობაში. მაგრამ ისინი არა ჩანდნენ ფრონტზე. ფრონტი მხოლოდ გულით, ჯარისკაცის ალღოთი ხვდებოდა, რომ ისინი ახლოს იყვნენ. ეს ათასეულობა წინააღმდეგობის გაწევის ძალას.

ათობით დივიზიები და სატანკო ბრიგადები ინთქმებოდნენ მოსკოვსახლო მდებარე დაფარულებელ ტყეებში, სადღაც ფრონტის მახლობლად. ეს დივიზიები და ბრიგადები, როგორც დამსჯელი მახვილი აღმართა სტალინმა გერმანელთა თავზე, რომლებიც უკვე ნიშნავდნენ კვარტირიერებს ჯარების ნოსათავსებლად მოსკოვის თბილ სახლებში.

4 დეკემბრისათვის ფოლადის ზამბარა უკიდურეს ზომამდე შეიკუმშა. ხოლო 5 დეკემბერს მოსკოვთან დაგროვებულმა მთელმა რეზერვებმა, ყოველივემ, რაც კი გულმოდგინე მზრუნველობით, რკინისებური სიმტკიცით ძოზადებული იყო დასარტყმელად, მთელმა ჯარებმა, მთელმა არტილერიამ, ყოველივემ, რაც კი **სტალინის** სტრატეგიული გეგმით თავმოყრილი იყო მოსკოვთან და მოსკოვს უკან უზარმაზარ გამანადგურებელ მუშტად,—ყოველივე ამან დასცხო გერმანელებს. ზამბარა უკიდურეს ზომამდე შეიკუმშა და საშინელი ძალით გაიშალა. სიტყვა, რომელსაც სულგანაბული ელოდა მთელი ჩვენი ქვეყანა,—„შეტეგა“,—საქმედ იქცა. ჩვენი არმია მოსკოვთან შეტევაზე გადავიდა. ცნობებში შებრუნებული წესით კვლავ გამოჩნდა მოსკოვსახლო მდებარე ადგილების, სოფლებისა და ქალაქებს საჩენები. მკაცრ ყინვაში, ყინულზე, ქარბუქში უტევდა არმია. დაიწყო ის დევგმირული და დიადი რამ, რასაც შემდეგში უწოდეს გერმანელთა განადგურება ზამთარში მოსკოვთან.

28 გმირი გვარდიელი

ვოლოკოლამსკის შარაგზას, რომელიც იატრისაკენ მიდის, იკავდა პანფილოველთა სახელოვანი 316-ე მსროლელი დივიზია; ახლა იგი მე-8 გვარდიული დივიზია. ისე როგორც მოსკოვისათვის დიდი ბრძოლის მონაწილე ჩვენმა ჯარებმა, პანფილოვის დივიზიამ უტკნობი ფურცელი ჩასწერა მოსკოვის დაცვის სახელოვან ბატიანეში. მთელი საბჭოთა კავშირი იცნობს 28 პანფილოველი ვაჟკაცის საგმირო საქმეს. დღეს, როცა აღვნიშნავთ გერმანელ ფაშისტთა ურდოების მოსკოვთან განადგურების ორი წლისთავს, სიამაყით ვიგონებთ 28 პანფილოველი გვარდიელის თავდადებას.

1941 წლის 16 ნოემბერს გამხეცებულ გერმანელთა ურდოები შეტევაზე გადმოვიდნენ.

ვოლოკოლამსკიდან აღმოსავლეთით, 7 კილომეტრის მანძილზე დუბოსეკოვის რაიონში შარაგზას იკავდა პანფილოველთა ერთი რაზმი სერჟანტ დობრობაბინის მეთაურობით. მათ წინააღმდეგ გერმანელებმა 20 ტანკი და ერთი ასეული ქვეითი ჯარი დასძრეს.

სულ 29 მებრძოლი იდგა ამ ძალის წინააღმდეგ. ერთი მათგანი მხდალი აღმოჩნდა, პანფილოველებმა იგი თვითვე ჩააძაღლეს. დარჩა საბჭოთა ხალხის 28 გმირი შვილი. აქ იყვნენ რუსები, უკრაინელები, ყაზახები, მათ შეფიცეს ერთმანეთს:—გავწყდებით, მაგრამ მტერს არ გავეშვებთო,—და ეს ფიცი ვაჟკაცურად შეასრულეს.

სასტიკი ბრძოლა დაიწყო. შემომტევ ფაშისტ ბანდიტებს პანფილოველებმა ზუსტი ცეცხლი შეაგებეს, მალე 70 გერმანელი ძაღლი მოკლულ იქნა, ცეცხლი გაუჩნდა მტრის რამოდენიმე ტანკს. გერმანელები შედრკნენ. ოთხ საათს გასტანა ბრძოლამ, მაგრამ გერმანელებმა წინ ვერ წაიწიეს. გმირების ერთი ნაწილი უკვე დაიღუპა, ბევრი დაჭრილი იყო, მაგრამ უკანდახევაზე არავინ ფიქრობდა.

შემდეგ გერმანელებმა ერთ მუჭა მებრძოლთა წინააღმდეგ შეტევაზე 30 ტანკი გამოიყვანეს. ამ მძიმე, უთანასწორო ბრძოლაში გვარდიელებმა ფაშისტთა 11 ტანკი მოსპეს. მებრძოლებს ტყვიაწამალი გამოელიათ. რაზმის პოლიტხელმა კლიჩკოვ-დიევმა, სწორედ მაშინ წარმოსთქვა საქვეყნოდ ცნობილი პატრიოტული სიტყვები: რუსეთი დიდია, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლება: ჩვენს უკან მოსკოვიაო. დევგმირმა, რომელიც უკვე დაჭრილი იყო, წელზე გრანატები შემოირტყა, მტრის ტანკს ქვეშ შეუვარდა და ააფეთქა.

თავდაუზოგავად იბრძოდნენ გმირი გვარდიელები, დაიხოცნენ, მაგრამ მტერს გზა არ გაუხსნეს. მათ საშუალება მისცეს ჩვენს ჯარებს ახალ ზღვდეზე გამაგრებულიყვნენ და ჩაეკეტათ გზა მოსკოვისაკენ.

28 გვარდიელი პანფილოველი სიმბოლოა სოციალისტური სამშობლოს უძლეველობისა. ქვეყანა, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს, უძლეველია.

ქართველი ხალხის შვილები მოსკოვის დაცვისათვის ბრძოლაში

ორი წლის წინათ, 1941 წლის 13 დეკემბერს, გამოქვეყნდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა მოსკოვის გარემოცვისა და ალების გერმანელთა გეგმის ჩაშლისა და მოსკოვის მისადგომებზე გერმანიის ჯარების დამარცხების შესახებ.

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი დემოკრატიული მსოფლიო უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ამ სასიხარულო ცნობას.

მოსკოვთან შეტევაზე გადასვლის შემდეგ 6-დან 10 დეკემბრამდე, მარტო ოთხი დღის განმავლობაში ჩვენი ჯარების ნაწილებმა დაიკავეს და ერმანელთაგან გაათავისუფლეს 400-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, ხელთ იგდეს 386 ტანკი, 4.317 ავტომანქანა, 704 მოტოციკლი, 305 ქვემეხი, 101 ნაღმსატყორცნი, 515 ტყვიამფრქვევი, 546 ავტომატი. იმავე ვადაში ჩვენმა ჯარებმა, ავიაციის მოქმედების ჩაუთვლელად, მოსპეს 271 ტანკი, 565 ავტომანქანა, 92 ქვემეხი, 119 ნაღმსატყორცნი, 131 ტყვიამფრქვევი. გარდა ამისა, ხელთ ვიგდეთ უამრავი სხვა საჭურველი, საომარი მასალა, ტანსაცმელი და სხვ. გერმანელმა ფაშისტებმა ბრძოლის ველზე 30.000-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით.

ალექსანდრე ტაბიძე

საქართველოს სახალხო პოეტი

მოსკოვი

I

მთავარსარდლის
შორსმჭვრეტელო მზერავ,
ველს ბრძოლისას
თუ ტყეების ჩრდილოს —
გამარჯვების
ფერადებით ფერავ —
ვით მხატვარი
თვალუწვდენელ ტილოს,

არის ისართ
თუ ტყვიების სტვენა,
და დიდებას ამნაირი ყღერის —
რასაც ჩემი
ვერ გამოთქვამს ენა,
მას მოქნეულ
ხმლის წკრიალი მღერის!

მოსკოვისთვის
არის იგი მღერა —
მომავალის
მომცემელო სრულის —
მთავარსარდლის
მოდარაჯე მზვერავ,
მოდარაჯევ
ხალხის სულის, გულის.

II.

ის, მოსკოვი არ დაინდობს
ვინაც ახშობს ცას სრულყოფილ
უდიერად ვინც ეხება
ყოველ კარგს და კეთილშობილ.

არდანდობა—ვინც არ ინდობს
დედებსა და აკვნის ბალღებს,
ვინც ერები შეარია
შიმშილის და ნგრევის ტალღებს

სიკვდილი მას, ვინც შეაღო
დასარბევად ერთა კარი,
წმინდათწმინდას ვინც შეახო
თვისი ხელი უნდობარი.

თავდადებულ მამულიშვილთ
არ დასცხრება გული წრფელი
და ქანაობს მძაფრი ცეცხლი,
მტერზე შურისმძიებელი.

რაც სამშობლოს ემუქრება
დამპყრობელი ასე ცხადი—
ასე დიდი სიმართლისთვის
ომში იყო სტალინგრადი.

და სხვა უკვდავ სახედ არის
აღმართული ბასრი ხმალი:
ხალხის აწმყო, ხალხის ხვალე.
ხალხის დიდი მომავალი.

უცხოეთის პრესა მოსკოვთან წითელი არმიის გამარჯვების შესახებ

(1941 წლის დეკემბერი)

„გმირული ბრძოლისა და უდიდესი მსხვერპლის მეოხებით, სტალინური ხელმძღვანელობის მაორგანიზებელი გენიოსობის მეოხებით, საბჭოთა კავშირში შეჭრილი დამპყრობლები იძულებული არიან აღიარონ თავიანთი დამარცხება და ის, რომ ძირითადი მიზნები მიღწეული არ არის ექვსი თვის კამპანიის განმავლობაში. მოსკოვი განთავისუფლებულია, ლენინგრადი წინააღმდეგობას უწევს მტერს. ჩვენი მოკავშირეები განუწყვეტლივ მიიწევენ წინ ბევრ პუნქტში. რუსებმა დაიბრუნეს ჰაერში ბატონობა“.

ინგლისური გაზეთი „ობსერვერი“

* * *

„მოსკოვის მისადგომებზე წარმოებული ბრძოლები ადამიანების, იარაღისა და ხელმძღვანელობის უდიდესი გამოცდა იყო. ეს სისხლიანი გამოცდა იყო. რუსებმა ეს გამოცდა უკეთ ჩაბარეს ვიდრე მათმა მოწინააღმდეგემ“.

ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“

* * *

„სტალინმა და საბჭოთა მხედართმთავრებმა დაამტკიცეს, რომ მათი ახალი სამხედრო ტექნიკა დიდი შორსმჭვრეტელობითა და მოგნებლობით ხასიათდება... მოსკოვის მახლობლად საბჭოთა ჯარების კონტრშეტევამ სრულიად შესცვალა მდგომარეობა ფრონტზე და, თუ საბჭოთა ჯარების შეტევა კვლავ ასეთივე წარმატებით გაგრძელდა, შეიძლება მტკიცედ ფიქვათ, რომ იგი უდიდეს გავლენას მოახდენს მსოფლიოს ბედიღბალზე“.

ირანული გაზეთი „აენდეიე ირანი“

„ნაცისტების უკანდახევა როსტოვთან და მალი დამარცხება მოსკოვთან წარმოადგენს პირველ შემთხვევას, როდესაც ჰიტლერის არმიებმა ვერ შესძლეს მათ მიერ დაწყებული კამპანიის მოგება. ისტორია სათანადოდ დაფასებს რუსებს იმისათვის, რომ მთ არამც თუ მარტო შეაჩერეს ელვისებური ომი, არამედ კიდეც გააქციეს თავისაკენ“.

ამერიკული გაზეთი „სტარი“

* * *

„დღემდე ფიქრობდნენ რომ როსტოვთან ფონ კლაისტის დამარცხება გერმანელთა ყველაზე სერიოზული დამარცხება იყო აღმოსავლეთის ფრონტზე. ახლა ირკვევა, რომ მოსკოვისათვის გაჩაღებულ გრანდიოზულ ბრძოლას, რომელიც გერმანელთა პროპაგანდამ უკვე 9 ოქტომბერს „დაამთავრა“, გერმანელთა დიდი დამარცხება მოჰყვა. გერმანელთა მდგომარეობა რუსეთში უკვე მოგვაგონებს წინანდელ მსოფლიო ომში მარნაზე მომხდარი ბრძოლის შემდეგ შექმნილ სიტუაციას. გერმანელები აცხადებენ, „ტაქტიკურ უკანდახევას“ ვახდენთო, მაგრამ ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ ყველა დამარცხებული არმია მუდამ „ტაქტიკური“ მოსაზრებებით იხევდა უკან“.

შვედური გაზეთი „გეტებორგს ჰანდელსტიდნინგენი“.

* * *

„მხოლოდ ორი თვის წინათ გერმანული პრესა დასცინოდა მათ, ვინც ზამთარზე ლაპარაკობდა და ამტკიცებდა, რომ ზამთარში ბრძოლა კიდევ უფრო უკეთესად შეიძლებაო... ჩვენის აზრით, გერმანელის შეტევის ჩაშლის მიზეზი ის არის, რომ გერმანელებს მოსკოვის მიმართულებაზე დიდი ზარალი მოუვიდათ და მნიშვნელოვნად გამოელიათ რეზერვები“.

თურქული გაზეთი „ტანი“

* * *

„რუსებმა დამარცხება არგუნეს არა მარტო გერმანელებს, არამედ მათთან ერთად იმ მრავალი სახელმწიფოს არმიებსაც, რომლებიც ჰიტლერის მორჩილებაში იმყოფებიან. ამიერიდან გერმანიის უძლეველობის მითი ერთხელ და სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს“.

თურქული გაზეთი „ენი საბაჰი“

* * *

1941 წლის 13 დეკემბერს 23 საათზე, უკანასკნელი ცნობების გადმოცემის დროს ბრიტანეთის რადიომაუწყებელმა კამპანიამ საზეიმო მისალმებით მიმართა მოსკოვს:

„ლონდონი მიესალმება უშიშარ ქალაქ მოსკოვს, მამაც წითელ არმიას წითელი ავიაციის მეშვეობას,—განაცხადა დიქტორმა.—საში თვის განმავლობაში თქვენ გაანადგურეთ ყველაზე მძლავრი შემოტევა, რომელიც კი ომების ისტორიაშია ცნობილი. იმ სამი თვის განმავლობაში, როდესაც ინგლისმა დაიწყო ტაკეებსა და იარაღის წარმოება თქვენთვის, მსოფლიოს ნახევარი სულგანაბული ელოდა შედეგს. და ეი შედეგიც: გამარჯვება, გამარჯვება მოსკოვისათვის!“

პ. პავლენკო

დიადი ბრძოლა*

1941 წლის დამლევს გერმანელთა უდიდესი ძალები მოიწევდნენ მოსკოვისაკენ და ცდილობდნენ სწრაფი შეტევით ხელში ჩაეგდოთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი.

გერმანელთა სარდლობას იმედი ჰქონდა, რომ მოსკოვთან განადგურების შემდეგ თვენახევარორ თვეში ბოლოს მოუღებდა საბჭოთა კავშირს, შემდეგ კი, გამოიყენებდა რა მთელ ჩვენს რესურსებსა და სიმდიდრეს, ძლევამოსილად დაამთავრებდა ომს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

ამრიგად, მოსკოვი იყო ის ციხე-სიმაგრე, რომელიც იკავდა ყველა თავისუფლებისმოყვარე ერთა ინტერესებს, ციხე-სიმაგრე, რომლის გმირულ დაცვაზე დამოკიდებული იყო არა მარტო ვითარება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, არამედ მთელი ომის მსვლელობაც.

გერმანელთა სარდლობას რომელმაც მოსკოვის მისადგომებზე თავი მოუყარა 51 დივიზიას (33 ქვეითს, 5 მოტოქვეითს და 13 სატანკო დივიზიას), განზრახული ჰქონდა გაერღვია ჩვენი თავდაცვა მოსკოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით და შეეკრა გარემოცვის რკალი.

1941 წლის 2 ოქტომბერს 450-კილომეტრიან ფრონტზე დაიწყო გერმანელთა პირველი შემოტევა საბჭოთა დედაქალაქზე.

ფონ-ბეკის ბანაკში მივიდნენ უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტები და მრავალრიცხოვანი კინოოპერატორები, რომ გადაეღოთ და ჩაეწერათ მოსკოვის იერიში და ფაშისტთა ჯარების საზეიმო პარადი წითელ მოედანზე, რისთვისაც უკვე გამზადებული იყო სპეციალური სპპარადო ჩაცმულობა.

მაგრამ მოსკოვი დანებებას როდი აპირებდა. მთელმა საბჭოთა კავშირმა და, მეტიც, მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ სტალინს ერთი წამითაც არ დაუტოვებია მოსკოვი, რომ მან ბრძანება გასცა დაეცვათ დედაქალაქი ყოველნაირი საშუალებით. ასეულათასობით მოსკოველები, ტულელები, კალუგელები, ვლადიმირელები, იაროსლავლელები აგებდნენ თავდაცვითს ზღუდეებს, აშენებდნენ სიმაგრეებს, ბრძოლისათვის ამზადებდნენ არა მარტო დედაქალაქის მისადგომებს, არამედ თვით ქალაქსაც, მის ქუჩებსა და სახლებს.

მოსკოვახლო რაიონის ხშირი ტყეები მიწას დაეფინა და ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებათა ზოლები შეჭმნა.

1941 წლის 6 ნოემბერს საბჭოთა მთავრობის მეთაურმა და წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა სტალინმა—ოქტომბრის რევოლუციის ოცდაოთხი წლისთავის წინადღეს—წარმოსთქვა თავისი ისტორიული სიტყვა, საბჭოთა ხალხისადმი რწმენით, ფაშისტთა ურდოებზე უეჭველი გამარჯვების რწმენით გამსჭვალული.

7 ნოემბერს დილით კი მთელი მსოფლიო გაკვირვა და განაცვიფრა წარმოუდგენელმა ამბავმა: ალაფშემორტყმული მოსკოვის ჯარებმა გაიარეს სტალინის წინ წითელ მოედანზე ლენინის მავზოლეუმთან, ამ ჩვენს საყოველთაო-სახალხო წმიდათა-წმიდასთან, და სტალინი მიესალმა მებრძოლებს, თითქოს ეს ამბავი მშვიდობიან და მტრისაგან შორეულ ზურგში ხდებოდა.

მაგრამ მტერი ახლოს იყო, იგი მოსკოვისაკენ მოისწრაფოდა, ყურადღებას არ აქცევდა ზარალს ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ.

ჩვენი ჯარების პარადმა დაანახვა მთელ მსოფლიოს, ხოლო პირველ რიგში გერმანელებს, რომ ისეთ არმიასთან, როგორიც არის ჩვენი წითელი არმია, ფაშისტებს ჯერ კიდევ არ ჰქონიათ საქმე, რომ ისინი ჯერ კიდევ ვერ იცნობდნენ საბჭოთა ხალხის მთელ ძლიერებას, რომ მათ ჯერ კიდევ არასოდეს მიეტანათ იერიში ისეთ ციხე-სიმაგრეზე, როგორიც არის ჩვენი მშობლიური მოსკოვი.

გერმანელთა პირველი შემოტევა მარცხით დამთავრდა, და 16 ნოემბერს მათ მეორე შემოტევა დაიწყეს.

გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა მოსკოვზე შემოტევის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფლანგებზე.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო ტრაბახით აცხადებდა: „ბოლშევიკების დედაქალაქზე შეტევა ისე შორს წავიდა, რომ კარგი ბინოკლით უკვე შეიძლება ქალაქ მოსკოვის შიდა ნაწილის დანახვა“.

დიახ, მოსკოვი ახლოს იყო და, მიუხედავად ამისა, წარმოუდგენლად შორს იყო გერმანელებისაგან.

წითელ არმიაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ოპერატიული გამოცდილება დაიგროვა სმოლენსკისა და მოჟაისკისათვის ბრძოლებში, უკვე მრავალ ათასობით ითვლებოდნენ გამოცდილი, უნარიანი მებრძოლები და დახელოვნებული მეთაურები. იბადებოდა დიდი სამამულო ომის პირველი გვარდია. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაისმა 28 გვარდიელ-პანფილოველის უკვდავი საგმირო საქმე და მათი შეძახილი—რუსეთი დიდია, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლება: ჩვენს უკან მოსკოვიაო!

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა შეუპოვარი, თავდადებული მუშაობის 4 მილიონზე მეტი კაც-დღე დაიხარჯა თავდაცვითი სიმაგრეების ირმად ეშელონირებულ ზოლებზე. მოსკოვის მიწა უდიდესი ბრძოლის ველად გადაიქცა, და ყოველმა ჩვენგანმა იცოდა, რომ აქ გადაწყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედი, ყველა ჩვენგანის ბედი.

რეზერვები მოდიოდა მოსკოვში აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, წითელი დედაქალაქის დასაცავად შემოკრბნენ ყველა საბჭოთა ხალხის შვილები, რომლებისთვისაც მოსკოვი იყო და არის მშობლიური ქალაქი, ლენინურ-სტალინური დიდების ადგილი, საბჭოთა ხელისუფლების ციხე-სიმაგრე.

ჯერ კიდევ ბრძოლის მსვლელობაში იშვნენ მხედართუფროსთა სახელები, რომლებიც მთელ მსოფლიოში გახმაურდა. კაზაკთა ცხენოსანი ჯარის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი გენერალი დოვატორი, უზბეკთისა და ყირგიზეთის შვილთაგან შემდგარი დივიზიის მეთაური გენერალი პანფილოვი, გენერალები როკოსოვსკი, ლელიუშენკო, გოვოროვი, ბელოვი, ბოლდინი—მშობლიური გახდნენ ჩვენთვის. დასავლეთის ფრონტის სათავეში იდგა არმიის გენერალი, ამეამად საბჭოთა კავშირის მარშალი ამბ. უუკოვი, ელნიასთან გამარჯვებული, ჯერ კიდევ ხალხინგოლთან გამარჯვებებით სახელგანთქმული.

მოსკოვი სჭედავდა იარაღსა და საომარ მასალას თითოეულ ქარხანაში, ყოველ სახელოსნოში. ყველანი მეომრები გახდნენ.

დეკემბრის პირველ რიცხვებში ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, 6 დეკემბერს დასავლეთის ფრონტის ჯარები ამხანაგ სტალინის ბრძანებით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ.

პირველი დარტყმა გერმანელთა ჩრდილოეთის დაჯგუფებას თავს დაატყდა კლინის მიმართულებით, სამხრეთის დაჯგუფებას—ტულის აღმოსავლეთით. 11 დეკემბერს გენერალ ლელიუშენკოს ჯარები კლინთან გავიდნენ. დაიწყო ოთხი დღის სასტიკი ბრძოლა. მაგრამ კლინისათვის ამ ბრძოლის პირველი საათიდანვე მოსკოვმა უკვე იცოდა, რომ გერმანელი დამარცხებული იყო. მოსკოვის შემდეგ წითელი არმიის პირველი წარმატება დედაქალაქისათვის ბრძოლებში მთელმა ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო.

მოსკოვში, როგორც მოვიდა პირველი ცნობა გამარჯვებათა შესახებ, უცნობი ადამიანები ქუჩებში ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ, როგორც ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს.

წარმატებამ ფრთა შეასხა ჯარებს.

„უძლეველი“ გერმანელთა არმია გარბოდა, ქალის თავშლებსა და მოსასხამებში გახვეული, ჭყრიდა ტექნიკასა და საჭურველს. გერმანელთა სარდლობის ცდები—შეეჩერებინა ჩვენი დარტყმა კლინთან—მარცხით დამთავრდა. ასევე მარცხით დამთავრდა მეორე ცდაც — შეეჩერებინეთ კრასნაია პოლიანას რაიონში.

როკოსოვსკის ჯარებმა მტრის ურდოების უდიდესი ძალის მოწოლა მოიგერიეს, შეტევაზე გადავიდნენ და ქალაქ ისტრის რაიონში გავიდნენ.

ხოლო ამ დროს მოსკოვის სამხრეთით გენერალ გოლიკოვის ჯარებმა უძლიერესი დარტყმა აგვმეს გერმანელებს მიხაილოვის, სალინოგორსკის, ბოგოროდიცკისა და პლავსკის მიმართულებით, ტულიდან დაიძრა გენერალი ბოლდინი, ვენევიდან სტალინოგორსკისაკენ — გენერალი ბელოვი.

მთელი დასავლეთის ფრონტი დაიძრა დასავლეთისაკენ გაქცეული გერმანელების კვალდაკვალ.

ასე დამთავრდა დიდი ბრძოლა მოსკოვისათვის.

მოსკოვთან გერმანელთა ურდოების განადგურების სტალინური გეგმა შესრულებულ იქნა, — გერმანელებმა გადამწყვეტი დამარცხება განიცადეს და მათი გეგმა მოსკოვის დაპყრობისა და ომის სწრაფად დამთავრებისა სამუდამოდ ჩაიშალა.

უდიდესი ბრძოლა მოსკოვისათვის პირველი დიდი ოპერაცია იყო, სადაც თვალნათლივ იჩინა თავი საბჭოთა, სტალინური სტრატეგიის უპირატესობებმა გერმანელთა სტრატეგიის წინაშე.

მოსკოვის ბრძოლის ცეცხლში იხილა საბჭოთა კავშირმა ელვარება მომავალი გამარჯვებისა ფაშიზმზე. აქ, მოსკოვთან, დაიწყო საბჭოთა ჯარის ალაბრძოლა სამამულო უნარის, სიმამაცისა და მხედრული მოსაზრებულობის ის განსაცვიფრებელი და გიგანტური ზრდა, რომელიც გერმანელებმა 1942 წელს სტალინგრადთან იგრძნეს, ხოლო 1943 წელს—კურსკთან, ორიოლთან, პოლტავასთან, კიევთან და გომელთან.

მოსკოვთან გამარჯვება სტალინის გამარჯვებაა.

იგი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა დედაქალაქის თავდაცვას და დასავლეთის ფრონტის ჯარების მოქმედებას, იგი, რომელსაც მოსკოვში მოჰყავდა რეზერვები ჩვენი ქვეყნის სიღრმიდან, იგი, რომელიც თანმიმდევრულად იკავდა გადამწყვეტი მიმართულებით ძალთა თავმოყრის პრინციპს, ითვალისწინებდა, რომ მოსკოვთან თავმოყრილი იყო გერმანელთა არმიის მთავარი ძალები: და ჯარებს ამოცანად დაუსახა გაენადგურებინათ გერმანელები ბრძოლაში, დაემსხვრიათ ისინი მოსკოვსახლო რაიონის მიწაზე.

მოსკოვთან გამარჯვებამ არა მარტო მოსკოი იხსნა. ამ გამარჯვებამ შესცვალა მთელი ომის ამბების მსვლელობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და გავლენა იქონია ჩვენი მოკავშირეების ფრონტების მდგომარეობაზე.

მოსკოვისათვის ბრძოლამ მოამზადა სტალინგრადისათვის ბრძოლა ომდენადვე, რამდენადაც სტალინგრადმა მოამზადა კურსის ბრძოლა. ეს არის სამამულო ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა რომელშიც მთელი კაცობრიობის წინაშე გადაიშალა სტალინის სტრატეგიული ტალანტი.

მოსკოვის ოლქის რუკა
ვერეიკი
ბალაბანოვი
ბოროვსკი
ობნინსკი
ტარუსა
ალექსინი
ეფრემოვი
ელეცი
ლებედიანი
ზადონსკი
ეგორიევსკი
ზარაისკი
ბრონიცი
ბელევი
ტულა
ბოგოროდიცკი
ალეტოვო
ბაბინოვო
ბაბინინო
ბაბინინ
ბაბინინ
ბაბინინ

ოთარ ეგაძე

ბორანმა ამღვრეული დონი უკანასკნელად გადმოსცურა და აწიოკებული ხალხი ბატაისკის ჭაობებს შემოახიხნა.

გალმა ნაპირზე გერმანელები მოიკრნეს, ზზად უკრაინა გაეთელათ, რუსეთის მინდვრებზეც სახრჩობელების ჭალა აეყარათ და კავკასიაში შემოსასვლად ეწყობოდნენ.

დონის ტრამალებზე პაპანაქება სიცხე იდგა. ჩვენი ჯარი მტერს მძიმე ბრძოლებით იგერიებდა, მაგრამ ჭროღათვალება გერმანელებს ფუღურო გულიც სიპი ქვით ამოეყოთ და ალაპლაპებული კვარათ საბძლებსა და ჭოხებს მოსდებოდნენ.

იწვოდა უკრაინა, ბელორუსია იფერფლებოდა და შუაგულ რუსეთშიც მიწა გუგუნებდა. შემდეგ იმ გავარვარებულმა რკინის ნიაღვარმა მდორე დონიც გადმოლახა, ყუბანის ველი წარღვნა და პირიქითა კავკასიასაც მწუხარება მიუგორა.

აიყარა ხალხი, მთის კალთებზე ბინა რომ დაედო და ზღვიდან ზღვამდე კაცთმოყვარეობას სთესავდა. დაიძრნენ ყაბარდოელები და ყუბანელებმაც ბინა აიშალეს, ჩაჩნებიც ნაგულ ადგილებს გამოეთხოვნენ და ლეკებიც გურჯისტანის ბილიკებს შეეფარნენ.

იქ კი, ჩრდილოეთ კავკასიაში, ტევტონთა ჩაბუზრებმა ჭიაკოკონა დაანთეს, ფერხუთი დაუარეს და სლოკინთა და ბოყინთი „ჰაილ ჰიტლერს“ გაიძახოდნენ. შავხალათა იტალიელებმა გონება ღვინოს ასესხეს და წუწკმა რუმინელებმაც სომებმოშლილი ორკესტრი ახბრიალეს. ჭკუაშეკრეულმა უნგრელებმა ცეტი ჩარდაში დაუარეს და დუნაის ნაპირზე მომლოდინე ცოლებმაც ჰიმლერის კერატ ბიჭებთან კაბები ააფრიალეს.

ლუდით გაბრუებული ატილას ნათლულები ღამის კაბარეში ონავრობენ, ხოლო აწიოკებული პირიქითა კავკასია გზას გასდგომოდა და ცრემლითა და სისხლით მიწას ალბობდა.

მოდიოდნენ ლტოლვილები, რომ ქედს გადმოლმა ხსნა ეპოვნათ, ღონე მოეკრფათ, სასოწარკვეთილებას გაჰყოლოდნენ და მოპარებულ სიკვდილს ისევ დასჭიდებოდნენ. ბეჩოსა და დარიალსაც სუნთქვა შეეკრათ, ფერდები შეეზნიქათ, ვიწრო ბილიკები განზე გაეწიათ და ჩრდილოეთიდან მოდენილ ლტოლვილთათვის გზა გაეხსნათ.

კავკასია განსაცდელში ჩავრდა. საქართველომაც ლაშქარი შეჰყარა და მამულისათვის ბრძოლას აზიარა. ამ დროს ბარში ხმა გავარდა — მთაში ლავრენტი ბერია გაჩნდაო. თერგმა ენგურთან მახარობელი აფრინა, რითმაც ალაზანთან იორს სიტყვა დაბარა, ლაჯვარმა ზვითო მიმავალ ბერიას ქუდი პოუბადა და მტკვარმაც თავის შვილიშვილებს შირვანსა და ზანგეზურში ბარათი გაატანა.

იქ კი, ჩრდილოეთში, შავი ლრუბლები აიშალნენ და კავკასიონის მწვერვალებს თავს საქმროდ უტრიალებდნენ. შემდეგ ალბუზზეც თოფი გავრდა, კორიანტელი ადგა და თერგიც აიმღვრა, ლავრენტი ბერიამ თავისი ნაამაგარი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი სალაშქროდ დააწყო, სტალინისეული სიტყვა უთხრა, წინ გაუძღვა და ფარღალალა დარიალის ხეობას ცხელი მკერდი ააფარა. შემდეგ შეტორტმანებულ მყინვარწვერს მუხლი შეუნაცვლა, დარუბანდს ხელი მისცა და კლუხორის ხეობასაც მიეშველა.

მიდიოდნენ ფრონტისაკენ გულმაგარი ქართველები, პირმისაანთ სოფელში რომ ჩამოველოთ და ხალხის ლოცვა მიეღოთ, ღობეზე გადმომდგარი კანკავას დედაც ენახათ და შვილთან მოკითხვა წაეღოთ. მიიჩქაროდნენ შილდელები — და „ბერმა პაპამ რო ესროლა“, იმას მღეროდნენ. მთიულები შინ გამარჯვებით დაბრუნებას იფიცებოდნენ და ბარში დაზრდილებიც, ფშანის წყალთან ქოხი რომ დგას, ფიქრით ეთხოვებოდნენ, წელმოხრილი ბაგრატის ციხეც ყვავარჯენზე შემდგარიყო, ჯვაქვის ხიდთან ტაშს უკრავდა და სალაშქროდ მიმავალ ქოჩორა ბიჭებს გზას ულოცავდა.

კავკასიონის კალთებს მტერი ესეოდა, მაგრამ მთის ვიწრო გადასასვლელებს საქართველოს ჯარიც მიეშველა. მიდიოდნენ მეომრები და გზად შემოხვედრილ ლტოლვილებს ნათელ შუბლსა და სამობლოს ერთგულებით მოშუშულ გულმკერდს უჩვენებდნენ. მათი წუხლითა აფორიაქებულნი სუნთქავდნენ და მკლავში ძალას ირწყავდნენ.

* * *

— ჰეი, ბალღო, გზა მოგვეცი, — გაბძახა მეთაურმა მთის ბილიკზე მოკუნტულ გოგონას, რომელიც მიწაზე რაღაცას დასჩერებოდა.

ბავშვი შეკრთა, წამოიწია და მის პატარა ხელებზე ქერა ბიჭის თვალებმილულული სახე გამოჩნდა.

— კვდება, ძმაა ჩემი!.. წაილულლულა და მოწყვეტილი მკლავები ისევ მიწაზე დაუშვა.

მებრძოლებმა დაოსებული ბავშვი რბილ ფარაჯაზე დააწვინეს, თავქვეშ ჩანთა დაუდეს, სახე მოუწმინდეს და უმარკო და აზრიან თვალებს დააცქერდნენ.

— დავიოალე! — ჩაიბუტბუტა ქერა ბიჭმა და თვალი ისევ მილულა, სწორედ ისე, თითქოს დედას სასეირნოდ დნეპრის ნაპირზე გამოუყვანია და მშობლის მკლავზე მოსვენება უგრძვნიაო.

მერე თვალი ერთხელ კიდევ გაახილა, ტუჩზე ღიმი აისხა და როცა თავი მაგარ მკერდზე იგრძნო — დაწყნარდა და მშვიდად მილულა თვალები. გულაჩუყებულმა დამ ცრემლი გადმოოვარა; გვერდზე დადგა, სახე მკლავში დამალა და აქვითინდა. მებრძოლებმაც გული ცრემლით მოილბეს და მომაკვდავი, ჯერ ისევ წამწამებს ოდნავ რომ არხევდა, ძირს დაასვენეს.

სიკვდილს წინ შვილმა დედა ინატრა, მაგრამ მშობელი იქ როდი იყო...

შემდეგ გრილმა სიომ დაუბერა და იმ ბავშვს მიუალერსა, ლოყებს შეეფუა. თმა შეურხია, თმილ იღლიაში ჩაეხუტა და ვაინანა... ალბათ, ის ნიავი გზაში დაჭრილი დედის უკანასკნელი ამოსუნთქვა იყო!

თავდაბრილ მებრძოლებს კი ქუდები მოეხადათ და ბარში მინაჩქარ მდინარეს ფიქრებს ატანდნენ.

— მე წავიყვან!.. — წამოიძახა გამყოლმა სიანმა, რომელსაც რაზმი გადასასვლელამდე მოეყვანა და უკან ბრუნდებოდა. მებრძოლებმა მომაკვდავ ბავშვს თვალი დაუტუტეს, გამოეთხოვნენ, მკერდის ღილი შეიხსნეს და გულში იმ პატარასაც ბინა დაუდეს.

დიდხანს იდგნენ ქართველები ბეჭის ვაწრო გადასასვლელზე... იქ კი, თოვლიანი მთისა და მწვანე სერის მოსახვევში, იმ კაცს მკვდარი ბიჭი მკლავზე დაესვენა, დაღვრემილი ჩიბიჯდებდა და ბუტბუტებდა:

— აქ როდი დაგტოვებ, ობოლო, ღვიძლივით გიტირებ!..

პატარა გოგოსაც ცალი ხელი ღვთისნიერი კაცისთვის ჩოხაში ჩაეკიდნა და დაკაწრულ ფეხებს კოპიტნარ ბილიკზე მძიმედ ადგამდა.

მალე ჩრდილოეთიდან ნისლი წამოვიდა, ხეობას დაფუნა, სვანის ლანდიც მთას იგფარა და იქიდან დაბერილმა სიომ იმ გოგონას კვნესაღა ამოიყოლა:

— შორს არის, ძია, ჩვენი სახლი?

მერე იმ ნიავმა ქართველებიც შეაცივა, შეაყრელა და ამოლებული უკრაინისაკენ ვაახდა: იქ საბრალო გოგონას სახლს ეძებდნენ, ეძებდნენ და, თუ მთელს არა, გარუჯულ ბუხარს მაინც იპოვნიდნენ. საცა ცხარე ბრძოლა იჭრებოდა, იმ ბიჭის მამასაც იქ იგულებდნენ, მოსძებნიდნენ, დაღუპული შვილის ხმაკვ ეტყოდნენ და გოგონას სახლსაც მიაწვალიდნენ. იდგნენ საომრად გასული ქართველები და უკან დაჩჩენილ მშობლიურ მხარეს მზნედ გაჰყურებდნენ: საქართველოს შემოსეული მტრისათვის კარი გადაერაზა, ხოლო შეხიზნული მეგობრებისათვის კიდობანი აეხადა.

წინ კი მეომრებს ძნელად საეალი გზა ედოთ: მტერი კავკასთან თავს იყრიდა და ვოლგის ნაპირებისაკენ გასაწვდად ატოკებული ბრძოლად ეწყობოდა.

* * *

მძიმე შემოდგომა დაილია. ნოემბერმაც ცხრამეტი დამე მითვალა და მეოცე დილას გერმანელი ღორი კავკასთან ლაფში დაუნარცხა. სარმაგამოკრულმა დოიჩლანდის არმიამ თქმა აითარი. მთაში ხოხვას ბარში თრთოლნად ძრომა არჩია, მაგრამ დაქადნებული ყუმბარა იქაც წამოეწია და დაიჩხავლა. კავკასიონის ქედზე ჩასაფრებულმა ლაშქარმაც მტერს ბანჯგვლიანი თათები დაუჭრა და ალდაგზე ადგილა.

აიშალნენ კარვებიდან ბრძოლად გასული საბჭოთა დივიზიები. ზამთარში მდორე დონი ისევ უკან გადალახეს და ზაფხულში ჩქინარე მიუსის ჩაკირულ ნაპირებსაც მისწვდნენ. ანზრბაიჯანელებმა ტაგანროგს შეუტიეს, სომხებმა ტემრიუკს დაუარეს და სხვებმაც ძელმიწურში ჯდომას ნაჩვევი გერმანელები მიწასვე ანაცვალეს. გაქცეულებსაც ხმალაქნეული ცხენოსნები გააყოლეს და თან ყუმბარებიც დაუწიეს.

ახალგაზრდა ლეიტენანტ ვახტანგ ურიდიასაც საბრძოლო ზიარება მაშინ მიეღო. ზამთარში უკანდახეულ მტერს მისდევდა, გაზაფხულზე იარაღს ირგებდა და ზაფხულში კი დონბასში საომრად გაჭრილიყო.

— დასავლეთისაკენ! — ჰკუხდა რუსი და უკრაინელი, ქართველი რისხდებოდა და ყალმუხიც ბორავდა. მტერი ისი ღამე ვარბოდა და ათასს სოფელს სწვავდა, გატაცებულ მოსახლეობას ხუნდებს ჰპირდებოდა, ხოლო დარჩენილებს მშლე სიცოცხლესაც ირთმეედა.

— დნეპრისაკენ! — გაჰყოფდა ვახტანგ ურიდიაც და ოფლიან მკერდს იქით ხნიქავდა: პრუსიელებთან ნომარი გურამიშვილის კვნესა ესმოდა და შეეჩენკოს დუმილი ადონებდა. მიიჩქაროდა, რომ დნეპრის ნაპირთან მუხლი მოეყარა, დასწყაფბოდა, შუბლზე წყალი შეესხა და გული გაეგრილებინა. მერე როცა წყურვილს მოიკლავდა, გულადობას ხიდად გაიდებდა და შორიდან ბრძოლით მოტანილ გამარჯვებას გალმა ნაპირზეც გაიტანდა.

ამიტომ იყო, რომ გააფთრებული იბრძოდა ვახტანგ ურიდია. დარიალის ხეობიდან კრემენჩუგის ბუჟმდის მიიჭრა, სისხლად იცლებოდა, მაგრამ ძირს როდი ეცემოდა; ნშობლიურ მიწაზე მუხლი მაგრად ედგა და მიწის მადლი აპურებდა.

— ვაუკაცია! — აქებდნენ ნაწილში და ამირად იხსენიებდნენ. კრემენჩუგთანაც ბეტრთან შესაბმელად ურიდია გაგზავნეს და უთხრეს:

— გერმანელი უნდა მოგვიყვანო, ლეიტენანტო!

— რიგითი თუ ოფიცერი, ამხანაგო გენერალო? — მიუგებდა მკვირცხლი ქართველი და უკან ენაჯარტალა გერმანელით ბრუნდებოდა.

დნეპრს რომ მიუახლოვდნენ, კრემენჩუგის დაზვერვა ვახტანგ ურიდიას დაავალეს. ათი მკომარი გერმანელების გამაგრებული ხაზისაკენ გაემართა, და სიფხიზლეს დაჩემებული ყარაული რომ შეეფეთათ, ურიდიამ ათეული მიწას გააკრა. თვითონ მტერს დააფრინდა და ღამის ყარაულს თვალები ძალად დაუხუჭა. შემდეგ, როცა ყრუ ხროტინი მისწყდა, ურიდამ მზვერავები ქალაქში შეიყვანა, საფარი მონახა, გამომწვევი სროლა ასტეხა და გერმანელებმაც ჩახმახს ხელი სტაცეს.

— ჰალტ! — გაისმა ხმა, და შენიღბული სათოფურებიდან ყვითელი ენები გადმოცვივდნენ. ვახტანგ ურიდიამ ქუჩაც ჩაიწერა და ცეცხლის ადგილებიც ჩაინიშნა.

ხუთი ღამე ზვერავდა ლეიტენანტი ურიდია კრემენჩუგის ქუჩებს: გზაჯვარედინზე გაჭრილ ტანსაწინააღმდეგო თხრილებს ისმენდა და სათოფურებს ითვლიდა. ოკაწრულსა და დანგრეულ სახლის ლანდებს მოწიწებით ჩაუვლიდა და გაბუტულსა და ჩათვლემილ ფანჯრებსაც უხმოდ ესაუბრებოდა... ვინ იცის, იქნებ იმ გადარაზულ კარებთან ომში წასული შვილის მომლოდინე მოხუცი დედა ჭრაქთან იჯდა და ძილგატეხილი ფიქრის გორგალს ართავდა.

ღამეს თავზე ითენებდა ურიდია, რიერაეზეკი მზვერავები სანგრებში ბრუნდებოდნენ და კრემენჩუგის ქუჩების ნაამბობს სხვებსაც გადასცემდნენ...

* * *

იმ დღეს ურიდიას მზვერავებსაც ეძიმა საქმე დაავალეს და იმათი ბედი მიანდეს, ვისაც დნეპრს გალმა სახლი დარჩა და ბავშვი უტიროდა.

ომში ნაფიც მეგობრებს არ ეძინათ, ფიქრი საბნად გაეფინათ და დანამული მიწისთვის ცხელი ლოყა მიეღოთ... მერე ღამით ნაგალი გზებით ქალაქს შეეფარნენ, ნაგული ადგილები მოსძებნეს და ძელმიწურეს ჩაესაფრდნენ.

შემდეგ ზარბაზნის გუგუნიც გაისმა, ტრედ დაუსტვინა, სადღაც ახლოს ყუმბარა დაეცა და ცალთვალა ფანჯრებმა ზრაალი ისტეხეს. ზეფარი ქვემეხებმაც აიწყვიტეს. ტყვიამფრქვევიც აკაკანდა, ნაღმებმა დაიწივლეს და ავტომატებიც ატკაცუნდნენ.

ვახტანგ ურიდიამაც ქალაქის თავზე ჭითელ მაშხალას თვალი შეასწორა და ულამ ძელმიწურის სათოფურს ხელყუმბარა სტყორცნა. შუა ქალაქში ატეხილმა სროლამ გერმანელები დაანინა. გონს მოსვლა სცადეს, მაგრამ სხვა ნაწილებმა გვერდიდან დაუარეს, ქვეიელებმაც მარჯვენიდან უყელეს და, როცა ტანკების კოლონა ქალაქში შეიჭრა, მტერმა სათოფურები მიატოვა და დნეპრზე გბდებული ხიდისაკენ გაჰკურცხლა.

გერმანელები გაღმა ფიქრობდნენ თავის შველას, მაგრამ ურიდიას გამოღმა ნაპირზეც ბევრი ჰქონდა სათქმელი; გაქცეულებს ზურგიდან მოუარა, შეტბორებულ ხიდზე ცეცხლი დაუშინა და დნეპრში შეეკურეულებს ბირი ინვეტა აჭრევინა.

მოიერიშე დივიზიებმა ქალაქს შეუტიეს, ხოლო როცა სროლა შეწყდა, ორი წლის უნახავ მამებსა და შვილებს, ქმრებსა და ძმებს გახარებული კრემენჩუგელები შეეგებნენ და გუშინდელ ამბავს წარსულივით იხსენიებდნენ.

* * *

დნეპრის ნაპირზე კი, სადაც ნერგის თხელი ჭალა აყრილა, შემოდგომის ფოთოლი მობუზული ცვიოდა. იმ ნაომარ რაზმს დროშები დაეხარა, ჯარისკაცებს ქუდები მოეხადათ და ნაძვის ტოტებით შემკულ კვარცხლბეკს დასცქეროდნენ.

ირგვლივ სიჩუმე იდგა. დნეპრზე გაჯასული ჩვენი ჯარები ბრძოლით წინ პიოეევდნენ და გამარჯვებით გუგუნებდნენ. მეთაური მაზარაში გაჩიეულ ცხენდარს მიუახლოვდა და დაიცქირდა, მორეულ ცრემლს ჯიქურად წარბები გადაფარა და კრემენჩუგის მცხოვრებლებს უამბო:

— ...ჩვენი ნაწილის გული იყო!..

ჭანდრის ტოტზე ფოთოლი მოსწყდა და ქარმა სადღაც გაიტაცა. ჯარისკაცებიც მწყობრიდან გავიდნენ, შემოდგომის ცვარნაკრავი ყვავილები მოსძებნეს, გაჰკრიფეს და კრემენჩუგის ქუჩაში გმირულად დაღუპულ ვახტანგ ურიდიას გვირგვინად დაადეს.

ოფიცერმა სიტყვა დაიწყო, და როცა დაასრულა, ჭირისუფლად მოსულ კრემენჩუგელებსაც უთხრა.

— ...მუდამ უნდა ახსოვდეს ამ ქალაქს გმირი ქართველის სახელი.

მერე დაჭრილი ხელი ცაში აიჭრა და სნეულმა შეიკრა... მებრძოლებმა თოფის კონდახები მხრებზე მიიდეს და დადუმებულნი ქვეშეგებმაც გოროზი ტუჩები დნეპრის ნაპირს ვადაეყუდეს. შემოდგომის ნისლში შეფუთული ნერგის ხეებიც აიბუზნენ. გაცარცვილი შრიალა ჭანდრებიც მიყუჩდნენ და ტოტებზე დაბუდრებული ბეღურებიც გაინაბნენ.

— მშვიდობით, გმირულად დაცემულო ჯარისკაცო, სამარადისო დიდება შენ, ლეიტენანტო ურიდია. — გამოეთხოვნენ ომში ნაფიცი მეგობრები და კრემენჩუგელებსაც ქუდი მოიხადეს.

— დიდება!

— ცეცხლი! — დაიძახა ოფიცერმა და ცაში ატაცებული მკლავი მოსწყდა. ის ამუზული ნერგის ხეები შეირხნენ, შეცრეკილი ფოთლები ჩამოფანტეს და გადაბნექილი ჭანდრებიდანაც ბეღურები აფრინდნენ, ჭარაკრად დაიწყვნენ, დნეპრის პირს გაჰყვნენ და კრემენჩუგში გმირულად დაცემული ქართველი მებრძოლის ამბავი საქართველოში ჩამოიტანეს. მერე სამძიმრად შეტბორებული დნეპრი ისევ ატოკდა, გზა განაგრძო და თვალრეც ჩავიდა. ქუჩებმა კი გამელელები ეაიჭრეს და ვახტანგ ურიდიას გმირობაზე ჰკითხეს.

კრემენჩუგელებმაც ცრემლი მოიშმრიდეს. ყველმში გახვეული ობნები დაიარეს და სადაც ქართველ ლეიტენანტს ბრძოლის ღამეები ეთენებინა ის ქუჩა იპოვნეს, ძველი ბრა ჩამოიღეს და დაკაწრულ კედლებს ურიდიას სახელი შეადაღეს.

გავა დრო, და ლურჯი დნეპრის ნაპირზე კიდევ აბიბინდება მწვანე ბალახი. ყელს მოიღერებენ ოქროწაბწაბა მზესუმზირას ყვავრები. შავი ზღვიდან მობერილი საქართველოს სიოც იმ ქალაქს მოსძებნის. მოედნებს დაივლის, გამელელებს ჰკითხავს და ვახტანგ ურიდიას სახელობის ქუჩასაც იპოვნის.

მაშინ დინჯად ჩაივლიან ქართველის ქუჩაზე მტერზე სამოლოო გამარჯვებას მოსწრებული მგზავრები... ეგებ ომიდან დაბრუნებულმა უკრაინელმაც საქართველოში შეფარებული თავისი პატარა ვოგონა მონახოს, იმ ქვეყანას მადლობა ეთხრას და უკრაინისათვის ბრძოლაში დაღუპულ ურიდიას ქუჩაზე მუდამ მოშრიალე ჭანდრის ხიც დარგოს.

ლენინგრადის ფრონტელ მხატვართა გამოფენა

მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალური სახლის დარბაზში გაიხსნა ლენინგრადის ფრონტის მხატვართა პირველი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია 42 ფრონტელი მხატვრის 400-ზე მეტი ნამუშევარი.

მნახველები მღელვარებით ათვალიერებენ ბატალიურ კომპოზიციებს, ნახატებს, პორტრეტებს, გრაფიკას, პლაკატებს, რომლებიც ასახავენ გმირული ქალაქის დამცველთა და მეხოვრებთა სიმედგრესა და მამაცობას.

ლენინგრადის ფრონტელ მხატვართა მთელი რიგი ნამუშევრები წარმოადგენენ ეროგორც თავისებურ ისტორიულ დოკუმენტებს. ისე ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებებს. ასე, მაგალითად, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს წზოელლულტელ ნ. ტიმოფეევის ნახატები. როცა უყურებ ამ სურათებს, ლრმად გრძნობ ქალაქ-ფრონტის ატმოსფერს. მ. ბერისსანგ ჰეროიკას. განსაკუთრებით ეროგა ტიმოფეევის ნამუშევრები: „ლენინგრადი ბლოკადის დღეებში“, „ზამთრის პეიზაჟი“, „ქალაქი-ფრონტი“. ეს სურათები დაეკვირდ უ ელი არიან ლრმა აზრისა და გრძნობების რთიანობით.

შესანიშნავია უფროს ლეიტენანტ ბ. ეარკავიჩენკოს მიერ შესრულებული პორტრეტები ლენინგრადის ბლოკადის გარეშე, გმირის მილნიკოვისა, საბჭოთა კავშირის გმირ ნ. სეიტენკოსი, საბჭოთა კავშირის გმირ ი. შიშპანისა, ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალრის, გვარდიის მაიორ ნ. ტენიკოვისა და სხვ.

ლრმა შთაბეჭდილებას ახდენს წითელარმიელ ა. ტროშიჩევის ნახატები ნატურიდან. აღსანიშნავია, რომ მხატვარი სნეულ იყო შენიღბული და ისე ხატავდა ჰეტეროგოფის ნაგნერეებს.

ეარგი ნამუშევრები აქვთ წარმოდგენილი აგრეთვე უფროს ლეიტენანტ ვ. მორეზოვს (ნ. ტიხონოვის წიგნის „ლენინგრადის წელის“ ილუსტრაციები), უფროს ლეიტენანტ ა. ხარშაკს („ლენინგრადი, ბლოკადაში“, „ასოვის?“, „საბჭოთა კავშირის გმირი ბენერალ. მაიორი სიმონიაკი“), უმცროს ლეიტენანტ ნ. კულიკოვს, წითელარმიელებს გ. ეაინოფს (დიდი ტილო — „ბლოკადის გარღვევა“), ლ. ორეფოვსა და ლ. პეტროვს (და ... — „ტყვე გერმანელები ლენინგრადში“), უფროს სერჟანტს, თვითნასწავლ მხატვარ ა. ლიბინს („კაპიტან სალნიკოვის გმირობა“), სერჟანტ ი. სკორობოგატოვს, უფროს ლეიტენანტ ს. ვიშნევეცკაიას, ადმინისტრატორ სამსახურის ლეიტენანტ ვ. კოჩეგუროვს და სხვ.

ასეთია ლენინგრადის ფრონტელ მხატვართა გამოფენის ექსპონატები. მხატვრული ოსტატობა, დოკუმენტალობა, უშუალო კავშირი გმირ ქალაქთან განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებებს.

„დავით გურამიშვილი“

საბლიტგამმა გამოსცა გ. ნატროშვილის მონოგრაფია „დავით გურამიშვილი“. ავტორი მიზნად ისახავს მოგვცეს დავით გურამიშვილის ცხოვრების, ბრძოლისა და შემოქმედების სურათი, გაარკვიოს გურამიშვილის ისტორიული კონცეფცია და მისი დამოკიდებულება ქრისტიანულ მსოფლიოსთან. წიგნის პირველი ნაწილი შესდგება შემდეგი თავებისაგან: გურამიშვილის საფლავის ეპიტაფია, დაღისტნის ტყვე, აბჯართ-საცავის უფროსი, მგდებურგის ციხეში, ოკანასკნელი წლები. მეორე ნაწილში — „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროები — მოთავსებულია შემდეგი თავები: ბრძოლა წარმართისა და ქრისტიანისა, გურამიშვილი და ანტიური მსოფლიო, ორი მთავარი წყარო, ჭირი ქართლისა, სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება.

წიგნის რედაქტორია ე. ასტვაცატუროვი. წიგნი შეიცავს 107 გვერდს და ღირს 8 მან.

„მნათობი“ № 7

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ მორიგი მეშვიდე ნომერი. ჟურნალის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებები: გალაკტიონ ტაბიძის ლექსები რკალიდან „ისტორიის ახალი გვერდი“, ალ. აბაშელი—„სიმღერა სტალინზე“ (ლექსი), ვ. გაბესკირია—„ავადმყოფი“ (ლექსი), ი. ნონეშვილი—„ვეფხი“ (ლექსი), გ. ნატროშვილი—„ფურცლები საფრონტო დღიურიდან“, სოლ. თავაძე —„კავკასიონის კარებთან“ (რომანი), ა. ბელიაშვილი—„თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა“, ბ. ჩხეიძე—„ლიახვის პირად“, ჰანს ბაბე—„ათასნი დაეცემიან“. ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისტორიის განყოფილებაში მოთავსებულია წერილები: ნ. ა. დობროლიუბოვი— „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“; ალ. ქუთელია—„ნ. ა. დობროლიუბოვი არქიმანდრიტ გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ“; შ. რადიანი—„ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები“. ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია ერთი წერილი: მკითხველი—„ვანდა ვასილევსკაიას „დღეები, რომლებიც შობენ გმირებს“.

გიორგი საკაკაძე
ნახატი მხატვარ თამარ აბაკელიანი

ხე-ვყის დამზადების, მოზიდვის და გამოზიდვის წლიური გეგმის შესრულება

1943 წლის 10 თვის განმავლობაში საქ. სსრ რაიონების მიხედვით

რაიონების დასახელება	დამზადება	მოზიდვა	გამოზიდვა
	პროც. წლიური გეგმისა	პროც. წლიური გეგმისა	პროც. წლიური გეგმისა
თელავი	27,1	99,2	13,1
სიღნაღი	24,2	9,5	25,0
გურჯაანი	59,7	0,9	80,2
საგარეჯო	40,0	0	35,0
თიანეთი	86,7	99,0	99,3
ადიგენი	79 2	71,5	87,6
ზეკითური	49.2	—	94,0
მაიაკოვსკი	78,3	—	61,8
ბახარაძე	94,2	94,2	—
ლანჩხუთი	93,9	87,9	100,3
ფოთი	91.1	—	—
ხობი	74,3	72,6	0
ცხაკაია	56,9	64,5	53,5
წულუკიძე	58,6	—	—
ზუგდიდი	93.8	96,5	96,2
ჯალ	79,5	30,0	5,0
ოჩამჩირე	69.4	—	55,2
სოხუმი	135,0	111,5	115,5

დისპუტი „კრწანისის გმირების“ შესახებ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციამ მწერალთა კლუბში მოაწყო დისპუტი ს. შანშიაშვილის პიესისა და რუსთაველის თეატრის სპექტაკლის „კრწანისის გმირების“ შესახებ. მოხსენებით გამოვიდნენ შ. აფხაიძე და შ. ბუაჩიძე. მათში მონაწილეობა მიიღეს დ. ჯანელიძემ, ბ. ყეენტმა, ა. ვასაძემ და ლუკაშვილმა. კამეთი შეაჯამა კრების თავმჯდომარემ შ. დადიანმა.

შ. აფხაიძემ დაწვრილებით განიხილა პიესა და სპექტაკლი. მან აღნიშნა, რომ პიესა დაწერილია სახოვანი ქართული ენით და მთელი რიგი სცენები ოსტატურად არის გაკეთებული. ასეთია, მაგალითად, ეროკლეს და ბათენაშვილის, თეკლეს და ვახტანგ ორბელიანის სცენები. მაგრამ პიესას აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. პიესის ცალკე სცენები არ არის ორგანულად დაკავშირებული. უორყოფითი მოქმედი პირები (რევაზ ციცაშვილი, იესე უზბაში და სხვ.) მოცემული არიან მეტ-ოქმედებაში, სამაგიეროდ დადებითი ტიპები გარდა თვით ეროკლესი, არ არიან ასე რელიეფურად გამოკვეთილნი.

შ. ბუაჩიძემ უფრო უარყოფითი შეფასება მისცა პიესას და სპექტაკლს. იგი არ დაეთანხმა თეატრის მიერ პიესის გაგებას.

ორივე მომხსენებელმა მთელ რიგ სხვა ადგილებთან ერთად არ მოეწონა ავტორს დაწერილი დედოფლის სახე.

დ. ჯანელიძე პიესის შეფასებაში ძირითადად დაეთანხმა მომხსენებლებს. შან ... [illegible] ... ლებას ემრნევა.

ბ. ყეენტი შეჩერდა პიესისა და სპექტაკლის დადებითს მხარეებზე. მან, ისე, როგორც დ. ჯანელიძემ, მაღალი შეფასება მისცა ა. ვასაძის მიერ ერეკლე მეფის როლის შესრულებას. ორატორმა ხაზი გასვა იმ გარემოებას, რომ მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო, რასაც ანარეში ენდა გაეწოს. იმავე დროს ამბ. ბ. ყეენტი შეჩერდა პიესისა და სპექტაკლის ნაკლოვანებებზე.

ა. ვასაძე არ დაეთანხმა ამბ. შ. ბუაჩიძის ეერ წამოყენებულ დებულებებს და ილაპარაკა იმ დადებითი როლის შესახებ, რომელიც ოთოდ შეასრულა ჰიესამ „კრწანისის გმირებმა“. პიესას, რასაკვირველია, აქვს სრული ხარვეზიც. მაგრამ ძირითადად იგი ასწავლის მაყურებელს — ჩვენი გმირული წარსულის მაგალითებით აღფრთოვანებულს ფასი გავაკეთოს ფაშიზმის დამანგრეველ ფაშიზმის მაკვლევ ... [illegible] ... ბ. ... [illegible] ... ბ. ... [illegible] ... ბ.